

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეების დროებითი (6 თვემდე) ლეგალური დასაქმება პოლონეთში. IOM ეხმარება შერჩეულ კანდიდატს დამსაქმებელთან დაკავშირებაში და სამუშაო ვიზის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, მაგრამ სამუშაო ვიზის აღებასთან და მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (სავიზო მოსაკრებელი - 60 ევრო, სამოგზაურო-სამედიცინო დაზღვევა - 30 ლარი, სამგზავრო ბილეთი - 100-დან 250 ევრომდე, ასევე სარეზერვო თანხა ანგარიშზე - 400 ევრო) ფარავს თვითონ სამუშაოს მაძიებელი. განცხადებაში ასახულია დამსაქმებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და IOM არ იღებს პასუხისმგებლობას მის შინაარსთან დაკავშირებით. დასაქმების დამატებითი დეტალები ზუსტდება დამსაქმებელთან გასაუბრებით.

ვაკანსია: მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი სატვირთო მანქანის (3,5 ტონიანი), C+E კატეგორიის მძღოლი პოლონური და/ან რუსული ენის ცოდნით

სამუშაო ადგილი: პოლონეთი

შესასრულებელი სამუშაო: ტვირთის ტრანსპორტირება და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამუშაო.

ძირითადი მოვალეობები

- სატვირთო მანქანის მართვა
- დატვირთვა და დაცლა
- ტვირთის ტრანსპორტირება

დამატებითი მოვალეობები

- პლანშეტურ კომპიუტერზე მუშაობა
- ჩაბარებული ტექნიკის მოვლა

სამუშაო ადგილი: კომპანიის ტერიტორია (პოლონეთი, ქ. ვროცლავი), სამუშაო მიზნით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში გამგზავრება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- C+E კატეგორიის მართვის მოწმობა. ამასთან, "C" კატეგორია აღებული უნდა ჰქონდეს 2009 წლის აპრილამდე.
- საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება (სასურველია ევროპის ქვეყნებში).

ყველა მძღოლი ვალდებულია პოლონეთში გაიაროს სამედიცინო და ფსიქოლოგიური შემოწმება/შეფასება. ასევე უნდა გაიაროს სპეციალური ტესტი, რომელიც გამოავლენს მის პოტენციალს (დამოკიდებულება სავაო უსაფრთხოების წესების მიმართ, დამსაქმებლის მიმართ ა.შ.) და მიიღოს KOD 95 კვალიფიკაცია (ტრენინგი 1 კვირა გრძელდება). მთლიანი თანხა სამედიცინო შემოწმებისა და ტრენინგისათვის შეადგენს 1000 პოლონურ ზლოტს (დაახ. 230 ევრო). შეფასების თანხა ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ, როდესაც სამუშაოს დაიწყებს მიგრანტი მუშაკი.

შენიშვნა: მძღოლებს, რომელთაც ევროკავშირის ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა გააჩნიათ უკვე აქვთ მიღებული KOD 95 და არ ჭირდებათ ტრენინგის გავლა.

სამუშაო დრო: 40 საათი კვირაში

სამუშაო რეჟიმი: უწყვეტი

მძღოლებს შეუძლიათ იმუშაონ 4 კვირა და 1 კვირა დაისვენონ (დასვენების კვირაში მათ არ ეკუთვნით საცხოვრებელი უზრუნველყოფა) ან 3 თვე იმუშაონ და ერთ თვე დაისვენონ (დასვენების თვეს ასევე არ ეკუთვნით საცხოვრებელი უზრუნველყოფა).

დასაქმების ხანგრძლივობა: 6 თვე, კონტრაქტის 2 წლამდე გაგრძელების პერსპექტივით.

შრომის ანაზღაურება: საბაზისო ანაზღაურება და DSA (სამივლინებო თანხა).

საბაზისო ანაზღაურება: 2050 პოლონური ზლოტი დარიცხული (ხელზე ასაღები 1650 პლოტი, დაახ. 380-400 ევრო).

სამივლინებო თანხა: საერთაშორისო მგზავრობისას არის 47 ევრო დღეში, პოლონეთში მოგზავრობისას - 30 პოლონური ზლოტი, თუ სარგებლობს საცხოვრისით და 45 პოლონური ზლოტი - თუ ღამეს მანქანაში გაატარებს. თვეში დაახლოებით 25 დღე საზღვარგარეთაა.

- ხელფასის გადახდა ხდება ყოველი თვის 10 რიცხვში
- DSA-ს დაანგარიშება და გადახდა ხდება თვეში ორჯერ

საცხოვრისით უზრუნველყოფა: საერთო საცხოვრებელი/ჰოსტელი, როცა მძღოლი თავისი ცვლის დროს იქნება ქ. ვროცლავში.

კორპორატიული სამედიცინო დაზღვევა: უბედური შემთხვევების და სამედიცინო დაზღვევა უზრუნველყოფილია

ასაკი: 55 წლამდე

სქესი: მამრობითი

გამოცდილება: აუცილებელია სულ მცირე 1 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში.

ენა: პოლონური და/ან რუსული

გთხოვთ, ვაკანსიით დაინტერესებულმა პირებმა რეზიუმე (CV) ფოტოთი ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე გამოაგზავნონ შემდეგ ელ. ფოსტაზე: tantadze@iom.int

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამუშაო დღეებში, 9-დან 17 საათამდე შემდეგ ტელეფონებზე: (+995 32) 2 600 955; მობ.: 577 43 46 44